ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №282129

ნომერი: AR167325

თარიღი : 18.07.2012

გაცემის თარიღი : 13.08.2012

გაცნობის თარიღი : 15.08.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი N90/22) / ქალაქი თბილისი , რიყის ტერიტორია , აღმართი ღვინის და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 90/027 / ქალაქი თბილისი , ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 90/028 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახაბერ ბუაძე პ/ნ 37001014607
- სამტრედია ს. ეწერი

ორგანიზაცია:
- შპს კოპალა კოდი: 206118075

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი სულაბერიძე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო

ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,, ბ" ქვეპუნქტისა და მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს – გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოს (ოქმი N30, 24.07.2012წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე სასტუმროს კორექტირებულ პროექტს.

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. კ. ბუაძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქ. კ. ბუაძეს ქ. თბილისში, ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე სასტუმროს კორექტირებული პროექტის წარმოდგენილი ვარიანტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.